ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

2020 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიშის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #32 დადგენილებით დამტკიცებული იქნა 2020 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 26 211,6 ათ. ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 18 231,4 ათ. ლარით და განისაზღვრა 44 443,0 ათ.ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ბიუჯეტის ბალანსი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი								
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2020 წლის ფაქტი			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	41 599,5	38 523,1	14 102,4	24 420,7	36 283,1	15 914,0	20 369,1	
გადასახადები	8 884,1	21 482,5	0,0	21 482,5	18 084,2	0,0	18 084,2	
გრანტები	29 595,6	14 400,6	14 102,4	298,2	16 201,5	15 914,0	287,5	
სხვა შემოსავლები	3 119,8	2 640,0	0,0	2 640,0	1 997,4	0,0	1 997,4	
ხარჯები	21 085,1	21 403,5	821,3	20 582,2	20 096,0	631,6	19 464,4	
შრომის ანაზღაურება	3 520,2	3 549,6	112,2	3 437,4	3 336,1	105,7	3 230,4	

საქონელი და მომსახურება	2 962,5	2 395,6	576,8	1 818,8	2 268,2	392,9	1 875,2	
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
პროცენტი	30,1	65,7	0,0	65,7	74,0	0,0	74,0	
სუბსიდიები	11 879,0	12 630,8	132,3	12 498,5	12 129,2	127,5	12 001,7	
გრანტები	0,0	50,0	0,0	50,0	53,9	0,0	53,9	
სოციალური უზრუნველყოფა	887,2	1 189,4	0,0	1 189,4	895,0	0,0	895,0	
სხვა ხარჯები	1 806,1	1 522,4	0,0	1 522,4	1 339,7	5,5	1 334,2	
საოპერაციო სალდო	20 514,4	17 119,6	13 281,1	3 838,5	16 187,1	15 282,4	904,6	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	22 437,3	22 604,5	15 053,8	7 550,7	19 872,8	13 631,3	6 241,4	
ზრდა	22 681,0	22 854,5	15 053,8	7 800,7	19 998,9	13 631,3	6 367,5	
კლება	243,7	250,0	0,0	250,0	126,1	0,0	126,1	
მთლიანი სალდო	-1 922,9	-5 484,9	-1 772,7	-3 712,3	-3 685,7	1 651,1	-5 336,8	
ფინანსური აქტივების ცვლილება	-26,7	-5 669,9	-1 772,7	-3 897,2	-3 801,8	1 651,1	-5 452,9	
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	1 651,1	1 651,1	0,0	
კლება	26,7	5 669,9	1 772,7	3 897,2	5 452,9	0,0	5 452,9	
ვალუტა და დეპოზიტები	26,7	5 669,9	1 772,7	3 897,2	5 452,9		5 452,9	
ვალდებულებების ცვლილება	0,0	-114,9	0,0	-114,9	-114,9	0,0	-114,9	
კლება	0,0	114,9	0,0	114,9	114,9	0,0	114,9	
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
საშინაო	0,0	114,9	0,0	114,9	114,9	0,0	114,9	
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0	

ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 38 773,1 ათ. ლარი, ფაქტიურად

36 409,2 ათ. ლარით შესრულდა, რაც გეგმის 93,9 %-ია.

I. <u>**გადასახადების**</u> სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 18084,2 ათ. ლარი, დაზუსტებული წლიური გეგმის 21482,5 ათ. ლარის 84,18 %.

<u>**დამატებული ღირებულების გადასახადი**</u> **-** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13355,6 ათ. ლარი, რაც დაზუტებული წლიური გეგმის 13992,5 ათ. ლარის 95,45%-ია.

<u>**ქონების გადასახადი -**</u> საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 4728,6 ათ. ლარის შემოსავალი, რაც დაზუტებული წლიური გეგმის 7490,0 ათ. ლარის 63,13 %-ს შეადგენს .

II. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 16201,5 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) **საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილი ტრანსფერი** -1800,0 ათ. ლარი;

ბ) **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** – 250,0 ათ.ლარი;

გ) **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები** - 9397,1 ათ. ლარი;

დ) **ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად** - 1792,9 ათ. ლარი;

ე) **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები** - 1600,0 ათ. ლარი;

ვ) **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** - 1074,0 ათ.ლარი;

ზ)საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 287,5 ათ. ლარი

III. სხვა შემოსავლები

2020 წლის დამტკიცებული წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 2640,0 ათ.ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 1997,4 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 75,66 %-ია, მათ შორის:

რენტის სახით ბიუჯეტში ფაქტიურად 551,4 ათ. ლარი შემოვიდა, რაც გეგმის 600,0 ათ.ლარის 91,9 %-ია.

ადმინისტრაციული მოსაკრებლიდან და გადასახადებიდან მიღებულია 496,3 ათ. ლარი, რომელმაც გეგმის 520,0 ათ. ლარის 95,44 % შეადგინა, აქედან:

- <u>**სანებართვო მოსაკრებელიდან**</u> **საანგარიშო პერიოდში მიღებულია 286,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 150,0 ათ.ლარის 191,13 %-ია;**

- <u>**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან**</u> **საანგარიშო პერიოდში მიღებულია 0 ლარი, რაც გეგმის 120,0 ათ.ლარის 0 %-ია; (ახსნა -განმარტება - პანდემიის გამო ლიცენზიანტმა შეწყვიტა მუშაობა)**

- <u>**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლიდან**</u> **საანგარიშო პერიოდში მიღებულია 209,6 ათ.ლარი, რაც გეგმის 250,0 ათ.ლარის 83,84 %-ია;**

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 24,6 ათ ლარი, რაც გეგმის 20,0 ათ. ლარი 123 % შეადგენს.

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა

მთლიანობაში 735,1 ათ. ლარი შეადგინა რაც გეგმის 1200,0 ათ. ლარი 61,26 % შეადგენს. **(ახსნა-განმარტება - პანდემიის გამო ავტომობილების მოძრაობა შეზღუდული, რამაც განაპირობა მოძრაობის ნაკადის მკვეთრი შემცირება, შესაბამისად ჯარიმებიდან შემოსავლები შემცირებულია)**

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 190,0 ათ.ლარი, რაც გეგმის 300,0 ათ. ლარის 63,33 %-ია;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 126,1 ათ. ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (250,0 ათ. ლარი) 50,44 %-ია, მათ შორის: 90,1 ათ. ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან (შემოსულობა შენობებისა და ნაგებობების გაყიდვებიდან, ავტომანქანების გაყიდვიდან (პიკაპები)), ხოლო 36,0 ათ. ლარი არაწარმოებული აქტივების გაყიდვებიდან (მიწის გაყიდვიდან).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი დამტკიცდა 44443,0 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 40211,0 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90,47 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 21473,5 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20097,2 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,59 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 22854,2 ათ. ლარით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19998,9 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87,51 %-ია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

„შრომის ანაზღაურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 3 549,6 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 3 336,1 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,98 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 2 395,6 ათ. ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2268,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 94,68 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 12630,8 ათ. ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 12129,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 96,03 %-ს.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- **მუნიციპალური ტრანსპორტი**;
- **მომსახურების ცენტრის დაფინანსება**;
- **წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**;
- **საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა**;
- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**;
- **სპორტული ობიექტების დაფინანსება**;
- **კულტურის ობიექტების დაფინანსება;**
- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;**
- **ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება;**

- **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;**
- **სოციალურად დაუცველ ბავშთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება;**
- **მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება;**
- **ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა;**

„სოციალური უზრუნველყოფის“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1189,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 895,0 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75,25 %-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- **მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;**
- **დედ-მამით ობოლი 18-წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა;**
- **მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;**
- **თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა;**
- **ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა;**
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა;**

- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება;**

- **სარიტუალო დახმარება;**
- **სოციალური ღონისძიებები;**
- **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;**
- **სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი;**
- **მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;**
- **ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება;**
- **სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება;**

„სხვა ხარჯების“ - მუხლით საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 1 522,4 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 339,7 ათ. ლარის მოცულობით, რაც გეგმის 88 %-ს.

სხვა ხარჯების მუხლიდან ფინანსდება ისეთი სამუშაოები, რომელთა შედეგად შექნილი აქტივები არ აისახება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამშენებლო მასალების შესყიდვა მოსახლეობისთვის გადაცემის მიზნით, კანალიზაციის და წყალმომარაგების ქსელების შეკეთება.

სხვა ხარჯების მუხლიდან ასევე, დაფინანსებული იქნა:

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა;**
- **უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირის უზრუნველყოფა.**
- **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.**
- **ბინათმშენებლობა**

2020 წლის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში პრიორიტეტების მიხედვით

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება	**11,96%**
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	**53,23%**
დასუფთავება და გარემოს დაცვა	**6,55%**
განათლება	**13,87%**
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**10,14%**
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	**4,25%**



1. 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (გეგმა - 5313,7 ათ. ლარი, შესრულება - 5197,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 97,8 %-ია);
2. 02 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (გეგმა - 23656,6 ათ. ლარი, შესრულება - 21,005,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 88,79 %-ია);
3. 03 00 - დასუფთავება და გარემოს დაცვა (გეგმა -2910,0 ათ. ლარი, შესრულება - 2845,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 97,77 %-ია);
4. 04 00 - განათლება (გეგმა - 6164,4 ათ. ლარი, შესრულება - 5337,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 86,59 %-ია);
5. 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (გეგმა - 4508,0 ათ. ლარი, შესრულება - 4205,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 93,29 %-ია);

6. 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (გეგმა 1890,3 ათ. ლარი, შესრულება - 1620,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 85,72%-ია).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2020 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 950,5	0,0	4 950,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 876,4	0,0	4 876,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 544,4	0,0	4 544,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	332,0	0,0	332,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0,0	0,0	0,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	74,0	0,0	74,0

703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	131,7	131,7	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	131,7	131,7	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 872,9	2 062,9	810,0
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	36,0	0,0	36,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	36,0	0,0	36,0
7045	ტრანსპორტი	162,2	0,0	162,2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	162,2	0,0	162,2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 674,8	2 062,9	611,8
705	გარემოს დაცვა	2 845,2	0,0	2 845,2
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2 845,2	0,0	2 845,2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	18 132,1	10 733,0	7 399,1
7061	ბინათმშენებლობა	295,7	0,0	295,7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	16 163,2	10 733,0	5 430,2
7063	წყალმომარაგება	700,2	0,0	700,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	973,0	0,0	973,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	222,5	127,5	95,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	222,5	127,5	95,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 205,7	0,0	4 205,7

7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 767,1	0,0	1 767,1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 326,4	0,0	2 326,4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	112,1	0,0	112,1
709	განათლება	5 337,7	1 207,8	4 129,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	4 029,6	0,0	4 029,6
7092	ზოგადი განათლება	1 308,1	1 207,8	100,3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 308,1	1 207,8	100,3
710	სოციალური დაცვა	1 397,9	0,0	1 397,9
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	143,2	0,0	143,2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	768,2	0,0	768,2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	486,5	0,0	486,5
	სულ	40 096,1	14 262,9	25 833,1

2020 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი, მიღებული შედეგები და შეფასების ინდიკატორები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსება

(ორგანიზაციული კოდი - 01 00)

01 01 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით გამოეყო 1 150,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 1079,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 93,83 %-ია.

,,შრომის ანაზღაურების“ მუხლით გეგმა შეადგენს 808,4 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 792,2 ათ. ლარს, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 790,5 ათ. ლარი; დანამატი - საკასო ხარჯი 1,7 ათ. ლარი;

`საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა განისაზღვრა – 202,8 ათ. ლარით, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 164,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 81,21 %.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 20,0 ათ.ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 3,4 ათ.ლარი.

01 02 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია 2020 წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3440.0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 3423,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 99,52 %-ია.

,,შრომის ანაზღაურების" მუხლით გეგმა შეადგენს 2629.0 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 2438,3 ათ. ლარს, რაც გეგმის 92,75 %-ია, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - საკასო ხარჯი 2417,6 ათ. ლარი; დანამატი (საკლასო) - საკასო ხარჯი 20,7 ათ. ლარი;

საქონელი და მომსახურები ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 782,1 ათ. ლარი.

სხვა ხარჯებმა- 151,6 ათ.ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა -7,0 ათ.ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა - 50,0 ათ. ლარით, რაც შესრულდა - 40,7 ათ.ლარის ოდენობით, რაც გეგმის 81,4 %-ია. შეძენილ იქნა საოფისე ტექნიკა,

სარეზერვო ფონდი

2020 წელს სარეზერვო ფონდის მოცულობამ შეადგინა 350,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 332,03 ათ. ლარი, მათ შორის:

- სააფთიაქო დაწესებულებებში მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეძენის მიზნით - 37,9 ათ. ლარი;
- ,,Covid-19"ვირუსის პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით , ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტის შეძენა - 44,3 ათ.ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებებში გაწეული მომსახურების საფასური - 127,6 ათ. ლარი;
- სარიტუალო ხარჯებისთვის დაფინანსდა - 31,9 ათ. ლარი;
- დახმარების გაწევის მიზნით მოქალაქეთა დახმარება - 89,7 ათ.ლარი;
- სხვადასხვა სოციალური მხარდაჭერა - 0,6 ათ.ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი

აღნიშნული მიმართულებით 2020 წელს გამოყოფილი იქნა 230,7 ათ. ლარი, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 230,7 ათ.ლარი. მათ შორის გადახდილია მუნიციპალური განვითარების ფონდის მრავალწლიანი სესხის ნაწილი - 114,9 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 574,7 ათასი ლარს.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
(ორგანიზაციული კოდი - 0105)

01 05 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა
2020 წლის გეგმა - 143,0 ლარი, საკასო ხარჯი - 131,7 ლარით, რაც გეგმის 92,1%-ია.

,,შრომის ანაზღაურების" მუხლით დაზუსტებული გეგმა შეადგენს 112,2 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულება 105,7 ათ. ლარს,

საქონელი და მომსახურების საკასო შესრულებამ შეადგინა - 26,0 ათ. ლარი.

მიღწეული საბოლოო შედეგი: 2020 წლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გამოსაცხადებლად დაუწყებული იქნა 1750 წვევამდელი . ჩატარდა გამწვევი კომისიის 29 სხდომა . გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 504 წვევამდელი.საიდანაც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' კანონის 30-ე და 29-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადება მიეცა 379 წვევამდელს.

საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ '' მუხლი-9 -ს საფუძველზე შ.ს.ს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოს გადაეცა 224 წვევამდელი.

2020 წლის განმავლობაში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში გადაყვანილი იქნა 129 წვევამდელი. საიდანაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხა 55 წვევამდელი.

<u>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია</u>
(ორგანიზაციული კოდი - 03 00)

არქიტექტურის,სივრცითიმოწყობის,ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის,სივრცითიმოწყობის,ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სამუშაო გეგმის თანახმად.

ქვეყანაში შექმნილი (კოვიდ-19) პანდემიის სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვალა ინფასტრუქტურული სამუშაოების დასრულების გრაფიკები. **2020 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარეობს 9 471 353 ლარის სამუშაოები;**

- **სრულდება სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია** (4032მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1596997 ლარი);
- დასრულდა საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელწიფოებრივი გზის კმ 44-დან სოფელ ბოხვაურის ცენტრის გავლით შემოქმედი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელ გზამდე გზის რეაბილიტაცია (4996 მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1596996,69 ლარი);
- დასრულდ აოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ. ბჟუჟას ხიდიდან ყაზბეგის ქუჩის (სოფ. მაკვანეთის საზღვრამდე) დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (821 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1004017 ლარი);
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, გოთუას ქუჩისა და ჯავახიშვილის ქუჩის II შესახვევის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (562 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 339996,91 ლარი);
- დასრულდა ქ. ოზურგეთში, ნ. ბარათაშვილის ქუჩის I ჩიხის, ქ. ოზურგეთში, ნ. ბარათაშვილის ქუჩის II შესახვევისა და ქ. ოზურგეთში, ნიკოლაძის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის მოპირდაპირედ, გზის მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოები (635 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 262000 ლარი);
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, ლომთათიძის ქუჩის რეაბილიტაციისა და ლომთათიძის ქუჩის I შესახვევის მოასფალტების სამუშაოები (908 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 384444 ლარი);
- დასრულდაოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში ეკლესიისკენ მიმავალი ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (616 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 651430,6 ლარი);
- ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით ბოგილას გზის (1468 გრძ.მ.) რეაბილიტაციის სამუშაოები (1468 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 392598,68 ლარი);
- დასრულდა ასკანის თემში, სოფელ მზიანის შიდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (2947 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1124999,73 ლარი);
- მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაღობილევის (N4 უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (1656 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 392889,46 ლარი);
- დასრულდა სოფელ მთისპირი-ასკანის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (1832 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 486499,89 ლარი);
- დასრულდა ქ. ოზურგეთში, სიმონიშვილისა და ბერი გაბრიელის ქუჩების რეაბილიტაციისა და ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის (დოლიძის ქუჩის კვეთიდან) ერისთავის ქუჩის კვეთამდე გზის

რეაბილიტაციისა და ერისთავის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები (873 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 404403,83 ლარი);

- დასრულდა კურორტ ურეკის გზის(უსკაკალეიკის) რეაბილიტაცია, სიგრძით 2940 გრძივი მეტრი (მ.შ. 1200 მეტრი ასფალობეტონი) - ღირებულებით 845000 ლარი
- მიმდინარეობს ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩის (ბესიკის პირველი შესახვევის-705 გრძ.მ) რეაბილიტაცია(გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 267223 ლარი);
- მიმდინარეობს სოფელ მაკვანეთში ჭალის უბნის გზის რეაბილიტაცია (1745 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 678606 ლარი);
- მიმდინარეობს სოფელ გურიანთაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (1813 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 512457,38 ლარი);
- მიმდინარეობს დაბა ნასაკირალში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (2960 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 760672,63 ლარი)
- მიუხედავად იმისა, რომ პროექტი სოფელ დვაბზუში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (1390 გრძ.მ) - ღირებულებით 209605,75 ლარი და სოფელ ბოხვაურში (ვატულოს უბნის) გზის რეაბილიტაცია (822 გრძ.მ) ღირებულებით 211432,56 ლარი (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებით 421038,31 ლარი); მრავალწლიანი შესყიდვით არის და დასრულების ეტაპად მითითებულია 2021 წელი ამ დროისათვის უკვე დასრულებულია.
- მიმდინარეობს დაბა ნასაკირალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 836198,09 ლარი);

<u>მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:</u>

- მიმდინარეობს სოფელ მერიის (ხვარბეთის) ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 118442 ლარი;
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, თენიეშვილის ქ. N12-ში მდებარე ცხრასართულიან საცხოვრებელ სახლში არსებული ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულებით 49395 ლარი);
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქ. No14-ში მრავალბინიანი საც. სახლის ფასადის მოპირკეთების სამუშაოები (ღირებულებით 156507 ლარი);
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, 9 აპრილის ქუჩის ჩიხის (გურიის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის ტერიტორიის ჩათვლით) რეაბილიტაციისა და მოაჯირის მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 31178.46 ლარი);

- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (N6, N8) ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 123545,11 ლარი);
- მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საძიებო-საექსპლოატაციო ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 96900 ლარი);
- მიმდინარეობს ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილის ქ. N14-ში ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 106497 ლარი);
- მიმდინარეობს ქალაქ ოზურგეთში, ჭადრაკის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ღირებულებით 17177 ლარი);
- მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით) - 37700 ლარი;

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დასრულდა ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - ღირებულებით 49912,07 ლარი.
- დასრულდა დაბა ნარუჯის ადმინისტრაციული შენობის ფოიეს კაპიტალური შეკეთება ღირებულება - 9960,38 ლარი.
- დასრულდა ქ.ოზურგეთში სანაპიროს ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულება 120205 ლარი.
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში (შევჩენკო, პუშკინი, ყაზბეგი) ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები - 969 გრძ.მ. ღირებულება - 284335 ლარი.
- შესრულდა ქალაქ ოზურგეთში, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტიული დარბაზის სახურავის კაპ. შეკეთების და გვერდით ფასადზე პროფნასტილის აკვრის სამუშაოები, ღირებულება 7972,63 ლარი.
- შეძენილი იქნა ასკანის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის იატაკის მოსაწყობად სამშენებლო ხის მასალა ღირებულება - 30575 ლარი.
- გადაიხურა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მერიაში, (ხვარბეთი) საბავშვო ბაღის სახურავი - ღირებულებით 17964.9 ლარი;
- დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭანიეთში, სკოლის მიმდებარედ, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები -სახელშეკრულებლო ღირებულებით - 44777 ლარი;
- 2019 წელს დაიწყო და 2020 წლის დასაწყისში დასრულდა ქ. ოზურგეთში, ოთხი მრავალბინიანი (თორმეტსართულიანი) საცხოვრებელ სახლში (კერძოდ: იოანე პეტრიწის ქ. N1, ფარნავაზ მეფის ქ. N1 კოსტავას ქ. N2 და გრიბოედოვის ქ. N31-ში) არსებული ლიფტების სარეაბილიტაცო სამუშაოები. - სახელშეკრულებლო ღირებულებით - 156998.72 ლარი;
- მომზადდა სოფ.სილაურში, სოფ.ჭახვათაში და სოფ.ვაკიჯვარში ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების მომსახურების შესყიდვა-სახელშეკრულებლო ღირებულებით - 60 000 ლარი;

• წლის განმავლობაში შესრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარის ორმული შეკეთების სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 40000 ლარი);

• მოეწყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში, ბიბლიოთეკის კარ-ფანჯრების მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 4428.84 ლარი);

• დამონტაჟდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერები - თანმდევი მომსახურებითა და აღჭურვილობით (სახელშეკრულებლო ღირებულებით 249940 ლარი);

• დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში (აჭის უბანში) გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 23000 ლარი.

• დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში (წვერმაღალა) – ბინა N4-ში კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოები - ღირებულებით 8552.14 ლარი.

• შესრულდა სოფელი ქვემო ნატანების (მე-17 ბრიგადა) სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით163736.48ლარი.

• დასრულდა ქ. ოზურგეთში, ჟღენტის ქ. N4-ში მდებარე უსახლკაროთა თავშესაფარის შენობის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 10000 ლარი.

• ზღვისპირა საკურორტო ზონაში განსათავსებლად შეძენილი იქნა 260 ცალი ნაგვის კონტეინერი -სახელშეკრულებლო ღირებულებით 32190 ლარი;

• დასრულდა ქ. ოზურგეთში, ა. წულაძის ქუჩაზე ასფალტობეტონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 28891.73 ლარი.

• დამონტაჟდა 1 ერთეული ეზოში ავტომანქანების დაშვების მაკონტროლებელი ბარიერის (შლაგბაუმი) შესყიდვა, მიწოდება-მონტაჟისმომსახურებით(ღირებულებით 4770 ლარი)

• დასრულდა სოფელ ლიხაურში (აჭის) საუბნო გზის რეაბილიტაცია (296 გრძ.მ) (ღირებულებით 108999,29 ლარი);

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში დუმბაძის პირველ შესახვევის (188 გრძ.მ) (ღირებულებით 71814,98 ლარი) და დიუნანის ქუჩის (340 გრძ.მ) (ღირებულებით 99157,44 ლარი);

• დასრულდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში სოფელ გურიანთაში (ციხისფერდი)-2 ერთეული, სოფელ მერიაში (გოგორეთი)- 1 ერთეული; სოფელ შრომაში (ხრიალეთში) -1 ერთეული და სოფელ ნატანებში - 1 ერთეული ჭაბურღილების მოწყობის საძიებო-საექსპლოატაციო სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 100 000 ლარი);

• დასრულლდა ქალაქ ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები -სახელშეკრულებლო ღირებულებით 38150.18 ლარი.

• დასრულდა ქ. ოზურგეთში, ა. წერეთლის ქუჩის სავალი ნაწილისა და ლერმონტოვის ქუჩის შესახვევის რეაბილიტაცია (სახელშეკრულებლო ღირებულებით 131 710 ლარი);

• მგზავრთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე შეძენილი იქნა 77 ერთეული საგზაო ბოძკინტი (ღირებულებით 3500 ლარი);

• დასრულდა სოფელ ნარუჯის სტადიონის გასახდელის შენობის შეკეთების სამუშაოები (ღირებულებით 11561 ლარი);

• დასრულდა სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის შენობის სახურავის კაპ. შეკეთების სამუშაოები (ღირებულებით 28700 ლარი);

• შეძენილი იქნა სხვადასხვა სახისა 32 ერთეული ატრაქციონები (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) (სახელშეკრულებლო ღირებულებით 74400 ლარი);

• შეკეთდა სოფელ ოზურგეთის კულტურის სახლის ღობე (ღირებულებით 4777 ლარი) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იპოდრომის არსებული შენობა-ნაგებობება (ღირებულებით 12624 ლარი);

• დასრულდა დაბა ლაითურში (მე-2 და მე-4 რაიონები) გარე განათების მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 9432 ლარი);

• დასრულდა დაბა ნარუჯაში არსებული საცხოვრებელი კორპუსის გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 9400 ლარი);

მუნიციპალიტეტი და დონორები

- ❖ მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდდათ. ფონდის მიერ 2020 წელს განხორციელდა ქალაქ ოზურგეთში, ჭანტურიას ქ. N1-ში მდებარე ისტორიული მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ღირებულებით 1433580,01 ლარი); ასევე მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში ბულვარის და მისი მიმდებარე ქუჩების და ბულვარზე გასასვლელების მოწყობის და რეკონსტრუქციის სამუშაოები (ღირებულებით 5052364,97 ლარი) და ქალაქ ოზურგეთში სამკუთხას სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1736998,83 ლარი);
- ❖ დასრულდა „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტი - სოფელ ქვედა ბახვში შიდა სასოფლო გზის **(ჩაის გზა)** რეაბილიტაცია (955 გრძ.მ) - ღირებულებით 219999,49 ლარი;

ამბულატორიები

• 2019 წლის 02 ივლისის N1510 საქართველოს მთავრობის განკარგულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამბულატორიებისა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოეყო **1 164 118** ლარი.

• 2020 წელს დასრულდა ახალი ამბულატორიების მშენებლობა დაბა ნასაკირალში და სოფელ გურიანთაში.

• დასრულდა "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-ს ეზოს კეთილმოწყობისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 123243.16 ლარი

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

• სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენტაციის საფუძველზე მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 18 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია. რაზეც გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. სულ დაიგეგმა 197 677,94 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. სამუშაოები დასრულდა ვაკიჯვარის, ასკანის, მთისპირის, ბაილეთის, ნარუჯის, ძიმითის, ნაღობილევის, მაკვანეთის, მელექედურის, მერიის, ქ. ოზურგეთის N9, ქ. ოზურგეთის N1, ნატანების, თხინვალის შრომის საბავშვო ბაღებში. შესრულებულია 130 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. სამუშაოები გრძელდება შემოქმედის, გურიანთის, ქ. ოზურგეთის N3, ლაითურის N1 და N2 ბაღებში.

სატრანსპორტო მომსახურეობა

კომუნალურის სერვისების განვითარების განყოფილების მიერ მომზადდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც საკრებულოს მიერ იქნა დამტკიცებული.

მშენებლობის ნებართვების შესახებ

რაც შეეხება მშენებლობის ნებართვებს, შემოსულია 563 განცხადება. გაცემულია 79 ახალი მშენებლობის ნებართვა, 36 ნებართვა ვადის გაგრძელებაზე, პროექტის კორექტირებაზე და დემონტაჟზე, 143 - I კლასის ნაგებობის მშენებლობის შეთანხმება.

ელექტროენერგიის ხარჯი - დაზუსტებული გეგმა - 700,2 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 700,2ათ. ლარი, რაც გეგმის 100 %-ია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 8000 -მდე სანათი მოწყობილობის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობებში მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯის გაწევა. კმაყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - შ.პ.ს.,,სატისი''გეგმა - 600,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 600,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

მიღწეული საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მთისპირი-ასკანის, ლაითურის, ნასაკირალისა, ნატანების, ლიხაურისა და ჯუმათის წყალმომარეგების სისტემები, რომელთა აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შ.პ.ს.სატისი.

შეფასების ინდიკატორი: ლაბორატორიულად შემოწმებული და ხარისხიანი მიწოდებული სასმელი წყალი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

გეგმა - 2297,2 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 2212.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 96.33%-ია;

• ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, **2020** წელს გამოეყო **1074000** ლარი. რაც შემდგომ მუნიციპალიტეტის მხრიდან გაზრდილი იქნა 100%-ით.

• მოსახლეობის მიერ დასმული პრიორიტეტების შესაბამისად ჩატარდა 260-მდე მცირე და საშუალო სიდიდის ობიექტის მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები

სოფლის მეურნეობის განყოფილების მიერ განხორციელდა რიგი აქტივობები:

საანგარიშო წელს შექმნილმა პანდემიურმა სიტუაციამ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის სოფლის მეურნეობის განყოფილებას არ მისცა საშუალება ჩაეტარებინა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა ჩაის ფესტივალი და ჩაის აუქციონი აგრეთვე ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები წარმატებით შესრულდა.

1. გეგმა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის 8 სოფელში 11 სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო **კულტურის სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას** და ამ ნაკვეთებში აგროტექნიკური და მოვლითი ღონისძიებების ჩატარებას.

• თხილის სადემონსტრაციო ნაკვეთებში (გურიანთა, სილაური, მაკვანეთი, ბოხვაური) ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღწეულია მოსავლის მაღალი ხარისხი (92-98 პროცენტი). ჩატარებულმა ფიტოპათოლოგიურმა დასკვნებმა ცხადყო, რომ მცენარეები ჯანსაღია და არ აღენიშნებათ დაზიანებები. ფართობებში

მავნებელ- დაავადებები არ შეიმჩნევა. პროექტი ამ ნაკვეთებში ხორცილედება მეორე წელია;

- საუკეთესო შედეგია მიღწეული ციტრუსების სადემონსტრაციო ნაკვეთებში (ლიხაური, ნატანები), სადაც ნაყოფი ჯანსაღია, შემცირებულია არასტანდარტული და ლაქიანი ნაყოფები, მაშინ როცა გასულ წელს მათი რაოდენობა 30-35 პროცენტს შეადგენდა;
- კივის კულტურასთან მუშაობის პერიოდში გამოვლენილი იქნა ფესვის დაავადება, რაც ფერმერებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განყოფილების თანამშრომლებმა დავათვალიერეთ დაზიანებული ნარგაობები პლანტაციებში. აღებულ იქნა დაზიანებული ნერგების ფესვები და კვლევისათვის გადავეცით სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მცენარეთა დაცვის განყოფილებას, მიღებულ პასუხებს გავაცნობთ დაინტერესებულ პირებს.
- სიმინდის სათესლედ შერჩეულ იყო ქართული სელექციური ჯიშები, ლომთაგორა და აჯამეთის თეთრი, ფონად გამოყენებულია ფერმერების მიერ სათესლედ მომზადებული ადგილობრივი სიმინდის პოპულაცია. ნაკვეთები მდებარეობს სოფ. ბოხვაურის ტერიტორიაზე და ე.წ. "ჩალიანის" ნაკვეთზე. ნაკვეთებს პერიოდულად უტარდებოდა მონიტორინგი მათზე დაკვირვების მიზნით. ირკვევა რომ, აღნიშნული ჯიშები კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს, ზრდის მაჩვენებლებით ბევრად აჭარბებენ ადგილობრივ პოპულაციას. სექტემბრის მონაცემებმა აჩვენა რომ, ლომთაგორა გამოირჩევა ღეროზე ორი ან სამი ტაროს ჩასახვით, ზომით კი, არ ჩამოუვარდება ადგილობრივს. აჯამეთის თეთრმა გამოიჩინა საადრეო სიმწიფის თვისება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული ფართობი გამოყენებული იქნეს შუალედი კულტურების (საქონლის ჭარხალი, ტურნეფსი, მოზამთრე ბოსტნეული კულტურები და სხვ...) საწარმოებლად;
- ბოსტნეული კულტურებიდან შერჩეული იყო კომბოსტოსნაირები. მათი თესვა-მოყვანა ემსახურება იმ აზრის მსხვრევას, თითქოს გურიაში ამ არატრადიციული კულტურების მოყვანა არ შეიძლებოდეს. ნაკვეთი შეირჩა ნატანებში, ფერმერ დავით თოიძესთან, სადაც დაითესა ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო და კომბოსტოს ორი სახეობა. დათესვიდან სამ თვეში ბროკოლის თითოეული ნარგაობიდან მიღებულ იქნა მაღალხარისხოვანი მოსავალი, თითოეულიდან 500- 600 გრ-ის ოდენობით. აღნიშნული ბოსტნეული კულტურები იძლევიან საშუალებას მცირემიწიან ფერმერულ მეურნეობებში სეზონის განმავლობაში მიღებული იქნეს 2 ან მეტი მოსავალი.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა 2020 წელს დაგეგმილი იყო 847.0 ათ. ლარით, ფაქტიურად იქნა ათვისებული 365,0 ათ. ლარი. გეგმის 43.1 %. ათვისების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია საპროექტო ტენდერებში მონაწილე პირების მიერ გამოცხადებული ფასის ძალიან მაღალი პროცენტული (ხშირად 30-50 %) კლებით.

მიღწეული საბოლოო შედეგი: საპროექტო საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები მომზადდა 300-დე ობიექტზე.

- შეძენილი იქნა ქ. ოზურგეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცის ინტერიერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 944696,45 ლარი) მომზადების მომსახურების შესყიდვა (საპროექტო ღირებულებით 75 000 ლარი);

ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (მონაცემთა ბაზის შექმნა) დაფინანსდა 134,5 ათ.ლარით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები- გეგმა - 887.6 ათ. ლარი, საკასო შესრულება 608,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 68,5 %-ია;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტის „ იყავი თანამმართველი"-ს განხორციელება. აღნიშნული პროექტის ეგიდით 2019 წელს გაიმარჯვა,ქალაქ ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა No25-ში ეზოს ქსელის კანალიზაციის მოწყობისა(სახელშეკრულებლო ღირებულებით 19874 ლარი) და ანასეულში, მეცნიერების ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების (სახელშეკრულებლო ღირებულებით 54752.13 ლარი) პროექტებმა, დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე ე.წ. „ლაშე"-ს სტადიონის **(ს/კ 26.26.57.114)** მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 74889.74 ლარი); აღნიშნული პროექტები გამნხორციელდა 2020 წელს.

მიმდინარე წელს ამ პროგრამის ფაგლებში განსახორციელებლად შეირჩა შემდეგი სამუშაოები:

- **პანორამა ოზურგეთი ანუ ოზურგეთის დაკიდული ბაღები;**
- **იპოვნე ჩემი სახლი;**
- **სპორტული მოედანი ანასეულში;**
- **გასართობი სივრცე ანასეულში;**
- **ბავშვთა გასართობი სივრცე მალაზონიას ქუჩაზე;**
- **თენიეშვილის სკვერი;**
- **ფილიმონ ქორიძის ბიუსტის შემოღობვა;**
- **გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კეთილმოწყობა;**
- **იადვეგა შეფერის ბიუსტი სამუსიკო სკოლასთან;**
- **ჭადრაკის დაფა ჭადრაკის ბაღში;**

აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 300 000 ლარი.

შეფასების ინდიკატორი: კმაყოფილი ადგილობრივი მოსახლეობა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება -2020 წლის გეგმა - 2207,9 ათ. ლარი, საკასო ხარჯი - 2074,7 ათ. ლარის ოდენობით, რაც გეგმის 93,97 %-ია.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

• დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისა და მასალების შეძენის სამუშაოები ჯამური ღირებულებით - 57042,6 ლარი.

• ჩატარდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფ.ნატანებსა და სოფ.თხინვალში დაზინებული გზის საფარის რეაბილატაციის სამუშაოები-83236,42

• შესრულდა სოფ.ოზურგეთში სასაფლაოს მიმდებარედ გაბიონის მოწყობის სამუშაოები 7963,08 ლარი;

• ასევე შესრულდა სოფ.შემოქმედში მოქ.გიორგი ცეცხლაძის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ გაბიონების მოწყობისა და ქ.ოზურგეთში,წმ.გიორგის ქუჩაზე, კარლო გულბიანის საკარმიდამო ნაკვეთთან საყრდენი კედელის მოწყობის სამუშაოები ღირებულება შეადგენს 21601 ლარს.

• დასრულდა სოფელ გურიანთაში, მოქ. გელა მუჯირის საკრამიდამო ნაკვეთის მიმდებარედ გაბიონების მოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებლო ღირებულებით - 41272,02 ლარი;

